



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

რუსეთის იმპერიული იდეოლოგიები – ავტორიტარიზმისა
და ექსპანსიის საფუძველი?

გიორგი ბაღრიძე

127

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

გიორგი გაღრიძე

**რუსეთის იმპერიული იდეოლოგიები – ავტორიტარიზმისა
და ექსპანსიის საფუძველი?**

127

2019



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2019 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-1856-1

თავისი ისტორიის მანძილზე რუსეთის პოლიტიკურ სისტემაში რამდენიმე რევოლუციური ცვლილება მოხდა. ეს ცვლილებები იმდენად ღრმა და ყოვლისმომცველი იყო, რომ სახელმწიფო ყოველ ჯერზე იცვლიდა არა უბრალოდ მმართველობის სისტემას და სახელმწიფო იდეოლოგიას, არამედ საზღვრებსა და სახელსაც კი. დღევანდელი რუსეთის ფედერაცია საბჭოთა კავშირის მემკვიდრეა, სსრკ – რუსეთის იმპერიის, რომელიც, თავის მხრივ, მოსკოვის დიდი სამთავროს პირმო იყო. მაგრამ რუსეთში დამკვიდრებულ ყველა ახალ პოლიტიკურ ფორმაციას ერთმანეთთან რამდენიმე უცვლელი მახასიათებელი აკავშირებდა. აქედან ყველაზე თვალშისაცემი შიდა მმართველობის უკიდურესი ავტორიტარიზმი და საგარეო პოლიტიკის აგრესიულობაა. წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით გამოვავლინოთ ამ ფენომენის მიზეზები.

პოლიტიკური კულტურა, იდეოლოგია და პოლიტიკური სისტემა

პოლიტიკურ მეცნიერებაში მტკიცე კავშირია დადგენილი ერის კულტურას, ტრადიციებს, ღირებულებებსა და მმართველობის სისტემას შორის¹. ეს კავშირი საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა იდეოლოგიის მეშვეობით მყარდებოდა. წარსულში ეს უმეტესად იყო რელიგიური იდეოლოგიები, ხოლო თანამედროვეობაში – პოლიტიკური². შედეგად, შეგვიძლია ვისაუბროთ სხვადასხვა ერში არსებულ განსხვავებულ პოლიტიკურ კულტურაზე, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს მათ მიერ შექმნილი მმართველობის სისტემის, უფრო ფართოდ კი – პოლიტიკური სისტემის ბუნებას.

პოლიტიკური მეცნიერება პოლიტიკურ კულტურას აღწერს, როგორც საზოგადოების/მოსახლეობის საერთო წარმოდგენების ერთობლიობას უმთავრეს ფასეულობებსა და პოლიტიკურ პროცესზე, რომელიც პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობას განსაზღვრავს³. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური სისტემა თითქმის ყოველთვის არის ერის საერთო გამოცდილების პროდუქტი და მის ფასეულობებსა და მისწრაფებებს გამოხატავს.

ამასთან, დროთა განმავლობაში მმართველობის სისტემა შეიძლება ასცდეს ან ჩამორჩეს საზოგადოების განვითარებას და მიუღებელი გახდეს საკუთარი ხალხისათვის. ისტორიაში ამის უამრავი მაგალითი არსებობს და, როგორც წესი, ამგვარი ცდომილება რევოლუციურ პროცესებს იწვევს. მე-18 საუკუნის ბოლოს ამერიკის დამოუკიდებლობის რევოლუციური ომის შედეგად ბრიტანეთის კოლონიური მმართველობა სრულიად ახალი ტიპის პოლიტიკური

სისტემით შეიცვალა, რომელიც უკეთ ასახავდა 13 დამფუძნებელი შტატის მოსახლეობის ფასეულობებს და ინტერესებს. საფრანგეთის რევოლუციამ კიდევ უფრო კარდინალური ცვლილებების პროცესს მისცა დასაბამი, როდესაც აბსოლუტიზმი რესპუბლიკამ ჩაანაცვლა. მართალია, რესპუბლიკის დაბადება უაღრესად რთულ და სისხლიან პროცესთან აღმოჩნდა დაკავშირებული და ორი საუკუნის მანძილზე ხუთი რეინკარნაცია განიცადა, მაგრამ საბოლოოდ პოლიტიკური სისტემა, რომელიც საფრანგეთში დამკვიდრდა, შეესაბამებოდა ფრანგული საზოგადოების მიერ გაზიარებულ ფასეულობებს, რომლებიც სათავეს განმანათლებლობის ეპოქაში იღებენ.

იშვიათ შემთხვევებში პოლიტიკური სისტემის ძირეული ცვლილებები ნაკლებად კატაკლიზმური გზით ხორციელდება და ამის საუკეთესო მაგალითია ინგლისის და შემდგომში დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური სისტემის ევოლუცია. მთავარი, რაც ხსენებულ და ბევრ სხვა მაგალითს აერთიანებს, ისაა, რომ საზოგადოების განვითარების, მასში ახალი იდეების, ფასეულობებისა და მათი ამსახველი იდეოლოგიების განვითარების კვალდაკვალ ხდება პოლიტიკური სისტემების ცვლილება და მისი ამ ფასეულობებთან და იდეებთან მისადაგება. როგორც წესი, ამგვარ ცვლილებებს მოაქვს პროგრესი საზოგადოებისთვის და მეტი თავისუფლება და კეთილდღეობა თითოეული ადამიანისთვის. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. რუსეთი სწორედ ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისია, სადაც მმართველობის სისტემის და იდეოლოგიის ძირეული ცვლილებების მიუხედავად, ძალაუფლება მუდამ მონოპოლიზებული რჩება კრემლში (მე-18-მე-19 საუკუნეებში – დროებით პეტერბურგში), საზოგადოება – უუფლებო, მაგრამ აგრესიულად მორჩილი, ხოლო საგარეო პოლიტიკა – უკიდურესად აგრესიული და ექსპანსიონისტური.

რუსეთის მეტამორფოზები

1. მოსკოვი – მესამე რომი: რელიგიური იდეა პოლიტიკური ინტერესების სამსახურში

რუსეთის (უფრო ზუსტად, მოსკოვის) პირველი სახელმწიფო იდეოლოგია „მესამე რომის“ კონცეფციას ეფუძნებოდა. გადმოცემის თანახმად, მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში ვასილი მესამეს მისი ახალი რელიგიური მისიის – აღმოსავლეთ საქრისტიანოს ლიდერობის შესახებ ფსკოველმა ბერმა ფილოთეუსმა აუწყა: „ორი

რომი დაეცა, მესამე დგას, ხოლო მეოთხე აღარ იქნება“. პირველი თავად რომი იყო, მეორეში კონსტანტინოპოლი იგულისხმებოდა, ხოლო მესამე კი, რა თქმა უნდა, მოსკოვი უნდა გამხდარიყო⁴.

ბუნებრივია, ვასილის და მის მემკვიდრეებს ეს იდეა ძალიან მიმზიდველად მოეჩვენათ. პირველ რიგში, ეს მოსკოვის მმართველების სტატუსს ეხებოდა – ვასილი არა უბრალოდ „დიდი მთავარი“, არამედ კეისარი ხდებოდა (რუსული Царь ნაწარმოებია სიტყვიდან Цезарь – ლათ. Caesar). ტიტულთან ერთად მან ბიზანტიის გერბი – ორთავიანი არწივიც საკუთარი ჰერალდიკის ცენტრალურ სიმბოლოდ აქცია. შესაბამისად, მოსკოვის სამთავრო სამეფოდ და შემდეგ იმპერიად გარდასახვის გზას დაადგა და კიდევ უფრო დიდი ამბიცია – აღმოსავლეთ საქრისტიანოს გაერთიანება დაისახა მიზნად. ამ დროიდან მოსკოვის მიერ ნებისმიერი ახალი მიწის დაპყრობა „ღვთის ნევით“ იყო გამართლებული.

ივანე მეოთხემ მოსკოვის მმართველობა შორს განავრცო და, რაც მთავარია, საფუძველი ჩაუყარა რუსულ თვითმპყრობელობას – ძალაუფლების სრულ მონოპოლიზაციას. მან ცეცხლითა და მახვილით მოსპო არა მხოლოდ ყველა, ვინც მას ძალაუფლებაში შეიძლება შესცილებოდა, არამედ საყოველთაო ტერორის მეშვეობით მოსკოვის და მის კონტროლს დაქვემდებარებული სხვა მიწების მაცხოვრებლები ფაქტობრივად მონებად აქცია. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ბატონყმობა მანამდეც არსებობდა და ტექნიკურად მისი საბოლოო ფორმა ბორის გოდუნოვის დროს ჩამოყალიბდა, მაგრამ ივანე შეგვიძლია მივიჩნიოთ განსაკუთრებული რუსული „ცარიზმის“ მთავარ შემოქმედად.

თუკი ვასილი მესამემ ხალისით აიტაცა „მესამე რომის“ შემოთავაზებული იდეა საკუთარი ძალაუფლებისა და სტატუსის ამალგების ლეგიტიმაციისთვის, „მრისხანედ“ წოდებული მისი მემკვიდრე მისი ძალაუფლების აბსოლუტურ ხარისხში აყვანას და მოსკოვისთვის იმპერიული სტატუსის უზრუნველყოფას თავის საკრალურ ვალდებულებად მიიჩნევდა.

1589 წელს ჭეშმარიტად იმპერიული სტატუსისკენ მიმავალ გზაზე მოსკოვმა ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, როდესაც დაუძღურებული მსოფლიო საპატრიარქოსგან საკუთარი ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებას მიაღწია და მიტროპოლიტი იობი პატრიარქად გამოაცხადა. ამან მოსკოვის გეოპოლიტიკურ ამბიცეებს მხოლოდ ახალი ძალა შემატა.

მე-17 საუკუნეში საეკლესიო და საერო ხელისუფლებამ ბიზანტიური პრინციპით თანამშრომლობა – „სიმფონია“ სცადა, რაც

მმართველობაში თანაზიარებას გულისხმობდა. მაგრამ ჯერ პატრიარქ ნიკონის საეკლესიო რეფორმებმა, ხოლო შემდეგ პეტრე პირველის მიერ სახელმწიფო მმართველობის სრულმა გარდაქმნამ ეკლესია ახლადშექმნილი რუსული იმპერიის მთავრობის ერთ-ერთ ქვედანაყოფად აქცია, რომელსაც „ობერპროკურორი“ უწევდა მეთვალყურეობას.

მოსკოვის დიდი სამთავროს რუსეთის იმპერიად ტრანსფორმაცია სწორედ პეტრემ დაასრულა, თუმცა, დიდი ალბათობით, მისთვის მესამე რომის კონცეფცია ბევრად ნაკლებს ნიშნავდა, ვიდრე ღრმად რელიგიური ივანე მრისხანესთვის. პეტრემ ენერგიულად გარდაქმნა მმართველობის სისტემა, მაგრამ ისე, რომ პოლიტიკური სისტემა კვლავ ტირანული, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობა – ყმები – რეალურ მონობაში დატოვა. მის მმართველობაში რუსეთის ტერიტორია თავბრუდამხვევი სისწრაფით აგრძელებდა გაფართოებას. ერთადერთი, რაც შეიცვალა, იყო ის, რომ რუსეთში მანამდე დამკვიდრებული აზიური და ბიზანტიური ნეს-ჩვეულებების ნაზავი დასავლეთეუროპულმა სტილმა ჩაანაცვლა.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რეალურად დაიწყო ზრუნვა ოფიციალური სახელმწიფო იდეოლოგიის შექმნაზე, რომელიც მესამე რომის კონცეფციას ახალ საჭიროებებს მოარგებდა. ის 1833 წელს ნიკოლოზ პირველის განათლების მინისტრმა სერგეი უვაროვმა⁵ სამი სიტყვით ჩამოაყალიბა: „Православие, Самодержавие, Народность“ (მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა, ეროვნულობა). ისტორიკოს გეორგი მანაევის აზრით, რუსეთის მაშინდელი არმიის ლოზუნგის – „За Веру, Царя и Отечество“ – მსგავსად, უვაროვის ეს ფორმულაც ერთგვარ პასუხს წარმოადგენდა ფრანგული რევოლუციის ლოზუნგზე – „Liberté, égalité, fraternité“ (თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა).⁶

უვაროვი კიდევ იმითაა საყურადღებო ფიგურა, რომ მისმა კორუმპირებულობამ იმდენად ლეგენდარულ მასშტაბებს მიაღწია, რომ პუშკინმა თავის ლექსშიც კი ახსენა⁷. თუმცა, როგორც ჩანს, კორუფცია, ავტორიტარიზმთან და ექსპანსიონიზმთან ერთად, რუსული სახელმწიფოს ყველა ფორმაციისთვის არის დამახასიათებელი მოვლენა. ამ აზრის განსამტკიცებლად დავიმოწმებ ბრიტანელ მკვლევარს, თომას დე ვაალს, რომელიც თავის სტატიაში „How Gogol Explains the Post-Soviet World“ რუსეთისთვის დამახასიათებელ კორუფციას ბრწყინვალედ გვიხსნის უვაროვის თანამედროვე მწერლის, ნიკოლაი გოგოლის უკვდავი „რევიზორის“ დახმარებით.⁸ უნდა აღვნიშნო, რომ ამავე სტატიაში გადმოცემული საქართველოს

მისეული ხედვა მცდარად მიმაჩნია, რადგან ის საქართველოს და მისი ისტორიის შესახებ რუსულ თვალსაზრისს ასახავს, რაც აღვნიშნე კიდევ ჩემს საპასუხო წერილში.⁹

პირველი მსოფლიო ომის დროს „მესამე რომის“ იდეა კინალამ რეალობად იქცა, როდესაც საიქს-პიკო-საზონოვის საიდუმლო შეთანხმებით ანტანტა რუსეთის მიერ კონსტანტინოპოლის და სრუტეების დაკავებას დათანხმდა. თუმცა რუსეთისთვის ყველაფერი სრულიად საპირისპირო სცენარით განვითარდა – ძველი ბიზანტიის გულში შეჭრის და ხმელთაშუა ზღვაზე სანუკვარი გასასვლელის მოპოვების ნაცვლად, იმპერია ჩამოიშალა და მრავალი ტერიტორია დაკარგა (ზოგი – საბოლოოდ, ზოგიც – დროებით).

2. კომუნიზმი, ბოლშევიზმი, სტალინიზმი, მარქსიზმ-ლენინიზმი. პოლიტიკური იდეოლოგიიდან ახალ რელიგიამდე

ინტერნაციონალიზმის კომუნისტური ლოზუნგებით მოსულმა ბოლშევიკებმა სულ მალე მესამე რომის დოქტრინა წარმატებით ჩაანაცვლეს კიდევ უფრო ამბიციური და ექსპანსიონისტური იდეოლოგიით. მისი არსი მსოფლიო რევოლუციის გზით კომუნიზმის საყოველთაო გავრცელებაში იყო. ლოზუნგი – „მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა, ეროვნულობა“ შეიცვალა ახლით – „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ მსოფლიო კომუნიზმის ცენტრი, რასაკვირველია, მოსკოვი უნდა ყოფილიყო. მართალია, მსოფლიო რევოლუციის იდეების გვერდზე გადადება ჯერ კიდევ სტალინს მოუწია, მაგრამ ათწლეულების მანძილზე კომუნიზმი საბჭოთა კავშირის ერთადერთ იდეოლოგიად რჩებოდა, რამაც ის სრულიად ტოტალიტარულ სახელმწიფოდ აქცია და ასევე დიდწილად განსაზღვრა მისი საგარეო პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზანს კომუნისტური მმართველობის მაქსიმალურად გავრცელება და მხარდაჭერა წარმოადგენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოცხადებული ინტერნაციონალიზმის ლოზუნგებს საბჭოთა რუსეთისთვის სულაც არ შეუშლია ხელი ჩვეული იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში. როგორც კი ბოლშევიკებმა სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომში გაიმარჯვეს, წითელმა არმიამ რუსეთის იმპერიის დაკარგული ტერიტორიების „დაბრუნებაზე“ დაიწყო ზრუნვა. 1921 წელს სწორედ ამ პოლიტიკას შეენირა ახალგაზრდა ქართული რესპუბლიკის თავისუფლება, ხოლო 1939 წელს საბჭოთა კავშირმა ნაცისტურ გერმანიასთან მთელი აღმოსავლეთ ევროპა გაიყო, რასაც შედეგად

ახალი მსოფლიო ომი, შემდეგ კი უფრო ფართომასშტაბიანი საბჭოთა ექსპანსია მოჰყვა, როდესაც რუსული ჯარი ევროპის გულში თითქმის ორმოცდაათი წლით დაბანაკდა.

დეკორაციების ცვლილების მიუხედავად, როდესაც ეკლესია და რელიგია კომპარტიამ და მისმა იდეოლოგიამ ჩაანაცვლა, საბჭოთა პერიოდში შენარჩუნდა კრემლის სრული მონოპოლია ძალაუფლებაზე, მოსახლეობის (მათ შორის, ეთნიკურად რუსების) უუფლებობა, რომელიც კოლექტივიზაციის პერიოდში მეტად წააგავდა ბატონყმობას და აგრესიული ექსპანსიონიზმი, რომელიც ამჯერად ახალი იდეოლოგიით იყო გამართლებული. 1940-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა კავშირს დაქვემდებარებული კომუნისტური მმართველობა დაამკვიდრა და თანდათანობით სხვა ქვეყნებშიც დაიწყო კომუნისტური მოძრაობების წახალისება. შემდეგ სამხედრო ძალით ჩაახშო თავის მიერ დამყარებული რეჟიმების წინააღმდეგ სახალხო პროტესტი (უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში). 1979 წელს ავღანეთის ოკუპაციას კი საბჭოთა პროპაგანდა „ინტერნაციონალისტური ვალის მოხდას“ უწოდებდა.

საბჭოთა იმპერია საბოლოოდ იმას შეენირა, რომ იდეოლოგიით ტოტალურად რეგლამენტირებული იყო არა მხოლოდ ძალაუფლების სტრუქტურა და საგარეო პოლიტიკა, არამედ ეკონომიკაც. შედეგად, საბჭოთა იმპერია – ძლევამოსილი სუპერსახელმწიფო – უბრალოდ გაკოტრდა და რუსეთის იმპერიის ბედი გაიზიარა.

3. რუსული სამყარო და ევრაზიულობა – რელიგიის და პოლიტიკური იდეოლოგიის ახალი კოქტილი

საბჭოთა კავშირის ჩამოშლით, რაც, ეკონომიკასთან ერთად, სწორედ მისი იდეოლოგიის გაკოტრებას მოჰყვა, რუსეთს შანსი მიეცა, რომ მოდერნიზაციისა და პროგრესული პოლიტიკური სისტემის მშენებლობისკენ გადაედგა ნაბიჯი. მას ჰქონდა ამის გარკვეული მცდელობა, მაგრამ 1990-იანი წლების ექსპერიმენტი სავალალოდ დასრულდა, როდესაც თითქოს დემოკრატიამ პრეზიდენტმა ელცინმა მემკვიდრეობად დატოვა არა მხოლოდ კორუფციით გაპარტახებული ეკონომიკა და მორყეული სახელმწიფოებრიობა, არამედ ახალ მმართველად – საბჭოთა კავებეს ოფიცერი ვლადიმირ პუტინი.¹⁰

ასე, თითქოს არსაიდან, მოგვევლინა კრემლის მბრძანებლის კაბინეტში, ერთი შეხედვით, უსახური „აპარატჩიკი“. რეალუ-

რად კი, პუტინი და მისი გუნდი ამისთვის მთელი 90-იანი წლების განმავლობაში ემზადებოდნენ. მათ მაქსიმალურად გამოიყენეს ძველი უნარ-ჩვევები და კავშირები და პოლიტიკოსების, ძალოვანი სტრუქტურების და ორგანიზებული დანაშაულის წარმომადგენლების უნიკალური სინდიკატი შექმნეს. რაც მათ ყველაზე მეტად აკლდათ, ეს სწორედ იდეოლოგია იყო, რომელიც ამჯერად მათ მიერ ძალაუფლების მონოპოლიზებას გაამართლებდა.

საბჭოთა კავშირის ჩამოშლის შემდეგ მართლმადიდებლობის რეაბილიტაცია უკვე მომხდარი იყო, მაგრამ პუტინს და მის ჯგუფს ესმოდათ, რომ ის ვერ ჩაანაცვლებდა კომპარტიას და ვერ დაიპყრობდა ათეისტურად გაზრდილი მასების გონებას: კავებე ეკლესიას და მის მესვეურებს ბრწყინვალედ იცნობდა და მათ მიმართ ილუზიები ვერ ექნებოდა. ეკლესიის საკუთარ სამსახურში ჩაყენების პარალელურად აუცილებელი იყო მეზრძოლი ტოტალიტარული იდეოლოგიის შექმნა, რომელიც უნდა გამხდარიყო ახალი ხელისუფლების და მისი პოლიტიკის ლეგიტიმაციის წყარო. პუტინმა და მისმა გარემოცვამ იოლად უკუაგდეს ფსევდოინტერნაციონალიზმის საბჭოური ფასეულობები და რუსი ხალხის კონსოლიდაციის მიზნით ყველაზე იოლ და იაფფასიან რეცეპტს – ნაციონალიზმის აღორძინებას – მიმართეს.

არაერთი რუსი თუ უცხოელი მკვლევარი ახალი რუსული სახელმწიფო იდეოლოგიის ჩამოყალიბებას პუტინის მიერ ყირიმის მიტაცებას და აღმოსავლეთ უკრაინაში დაწყებულ ომს უკავშირებს.¹¹ თუმცა, ჩემი აზრით, შეუძლებელია გამოგვჩიეს, რომ ყირიმიც და მის შემდეგ კრემლის კიდევ უფრო გამოკვეთილი შიდა თუ საგარეო-პოლიტიკური ქცევა მანამდე საკმაოდ მკაფიოდ ჩამოყალიბებული იდეების სისტემას ეფუძნება. ეს იდეები პუტინს მანამდე არაფრით ცნობილმა ფილოსოფოსმა ალექსანდრ დუგინმა იდეოლოგიად შეუკონინა და მას პირობითად ევრაზიულობის ან რუსული სამყაროს დოქტრინა უწოდა (ხაზგასასმელია, რომ გავრცელებული მოსაზრება დუგინის, როგორც „კრემლის ტვინზე“, სრულიად გაზვიადებულია).

ისტორიკოსები ამ დოქტრინაში ერთი შესხედვითაც ამოიცნობენ მე-20 საუკუნის დასაწყისის რუსი ავტორების იდეებს. მათგან პირადად მე ორს გამოვარჩევდი – ნიკოლაი ტრუბეცკოისა და ივან ილინს. ტრუბეცკოის შრომები განსაზღვრავს რუსეთს, როგორც ანტიევროპულ ფენომენს და კატეგორიულად ამტკიცებს, რომ რუსეთის ნამდვილი ფესვები და განსაკუთრებულობა ოქროს ურდოს მემკვიდრეობიდან მოდის და არა – კიევის რუსეთიდან, რომელსაც ის ზედმეტად ევროპულად განიხილავს.

თუ წაიკითხავთ 1925 წელს გამოქვეყნებულ მის „კავკასიის ხალხების შესახებ“, არ გამოგეპარებათ იმ მეთოდების გასაოცარი მსგავსება, რომლებსაც რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება საქართველოს მიმართ იყენებს. ტრუბეტკოვი ერთგვარ ანდერძად უტოვებს მემკვიდრეებს, რომ ქართველებზე (და ამით კავკასიაზე) კონტროლის შესანარჩუნებლად აუცილებელია ქართველებში ყოველგვარი საშუალებით ჩაახშონ „იქაურ ნაციონალიზმში ბოლო დროს აღმოცენებული ევროპულობა“ და ხელი შეუწყონ ეთნიკურ „ერთგვარ ევრაზიულ ნაციონალიზმს“.12 სწორედ ტრუბეტკოვის მიერ შემუშავებული იდეების ხორცშესხმას წარმოადგენს ჩოხაში გამონცობილი დუგინის ქართველი შეგირდების გააქტიურება საქართველოში.

მაგრამ ევრაზიულობის იდეოლოგიის ლომის წილი დუგინმა და მისმა კოლეგებმა ივან ილინსგან ისესხეს. რა არის განსაკუთრებული ევრაზიულობის მთავარი წინასწარმეტყველის პიროვნებაში ან იდეებში და საიდან ვიცით, რომ სწორედ მას ეთაყვანებიან კრემლის მმართველები? ამის სრულიად უტყუარი ფაქტები არსებობს: 2005 წელს პუტინის მთავრობამ ივან ილინის ნეშტი შვეიცარიიდან მოსკოვში გადმოასვენა და დონის მონასტრის სასაფლაოზე დიდი პატივით დაკრძალა (ეს რუსი საზოგადო მოღვაწეების ერთგვარი პანთეონია), გამოაქვეყნა მისი შრომების 25 ტომი, აშშ-დან გამოისყიდა და რუსეთში ჩამოიტანა ილინის არქივი, თავად პუტინს, მისი მთავრობის უკლებლივ ყველა წევრს, მოსკოვის პატრიარქს და სხვა მაღალჩინოსნებს რეგულარულად მოჰყავთ ილინის ციტატები.

ამ დროისთვის მკითხველმა შეიძლება იკითხოს, თუ რა შუაშია „ფაშიზმი“, რომელიც ასე ყურის მომჭრელად ფიგურირებს ამ სტატიის სათაურში? პასუხი – პირდაპირში. ფილოსოფოსი ივან ილინი 1922 წელს გააძევეს რუსეთიდან, როგორც ბოლშევიკებისთვის არასასურველი ელემენტი. ის გერმანიაში დასახლდა და მალე თავისთვის სათაყვანებელი გმირი – ბენიტო მუსოლინი აღმოაჩინა, რომლის შექმნილი ფაშისტური მმართველობა ევროპისთვის საუკეთესო პოლიტიკურ სისტემად გამოაცხადა.

ჰიტლერის გამოჩენამ და ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლამ ის კიდევ უფრო გაამხნევა. ის ღიად უწოდებდა საკუთარ თავს ფაშისტს. ფაშიზმისადმი ენთუზიაზმი ილინს მალევე დაუფასდა – „რუსეთის ინსტიტუტი“, სადაც ის მუშაობდა, პროპაგანდის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა და მაშინ, როცა პრაქტიკულად ყველა სხვა იმიგრანტი გამოყარეს, ილინი, როგორც სანდო, დატოვეს. ასე აღმოჩნდა ილინი იოზეფ გებელსის თანამშრომელი.

დიდი ომის მოახლოებასთან ერთად ნაცისტების კეთილგანწყობაც გაქრა, მაგრამ მილიონობით ადამიანისგან განსხვავებით, ის რეპრესიების მსხვერპლი არ გამხდარა – 1938 წელს შვეიცარიაში გადასახლდა. გასაოცარია, მაგრამ ილინის შეხედულებები ნაცისტური გერმანიის კატასტროფულმა მარცხმა ვერ შეცვალა და გერმანიის წარუმატებლობას პირადად ჰიტლერის შეცდომებით ხსნიდა.

ილინის ფენომენსა და პუტინის ახალ იდეოლოგიაზე მის გავლენაზე ყველაზე საყურადღებოდ ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი ტიმოთი სნაიდერი წერს.¹³

აი, ასეთი მამა ჰყავს დღევანდელ რუსულ სახელმწიფო იდეოლოგიას. პარადოქსი ისაა, რომ როგორც თავისი წარმოშობით, ისე შინაარსით დიდწილად ფაშისტური რეჟიმისთვის „ფაშიზმი“ ყველაზე საყვარელი სალანძღავი სიტყვაა. როდესაც რუსეთის ხელისუფლებას ვინმე არ მოსწონს, ის აუცილებლად „ფაშისტია“. ამ სიტყვას ყველაზე ხშირად ბოლო წლებია უკრაინის მიმართ იყენებენ. მერე რა უშავს, რომ „ფაშისტურმა“ და თანაც „ნაცისტურმა“ უკრაინამ სულ ცოტა ხნის წინ პრეზიდენტად ებრაელი აირჩია (და რაღაც ხანი პრეზიდენტიც და პრემიერ-მინისტრიც ებრაელი ჰყავდა) – პარალელური რეალობის შექმნა ხომ ტოტალიტარული რეჟიმებისთვის, განსაკუთრებით ფაშისტებისთვის, ჩვეულებრივი ამბავია! პუტინის პროპაგანდისტთა განკარგულებაში დღეს დასავლეთში შექმნილი უახლესი ტექნოლოგიური მიღწევებია – მთელ მსოფლიოში მაუწყებელი რუსული ტელეარხებიდან დაწყებული, სოციალური ქსელებით დამთავრებული.

მიუხედავად იმისა, რამდენად სერიოზულად აღიქვამს პუტინი თავისივე შემოთავაზებულ ახალ იდეოლოგიას, უეჭველია, რომ დღეს უკვე შეიძლება საუბარი პუტინის რუსეთის მოდელზე, რომელიც იმპერიის და საბჭოთა ეპოქის შემდეგ ახალ ფორმაციად ჩამოყალიბდა. ახალი რუსეთი თავის საზოგადოებას სთავაზობს ერთგვარ სოციალურ კონტრაქტს:

1. სამოქალაქო უფლებებზე უარის თქმის სანაცვლოდ რუსები მიიღებენ სიამაყის შეგრძნებას რუსეთის ძღვევამოსილების აღდგენის გამო (აქ საუბარი არაა კეთილდღეობაზე).
2. რუსეთი მტრებით გარშემორტყმული ციხესიმაგრეა და მიუხედავად იმისა, რომ პუტინის და მისი გუნდის კორუმპირებულობა ყველასთვის თვალსაჩინოა, რუსეთს მის გარდა ვერავინ დაიცავს.

3. რადგან მოსახლეობის კეთილდღეობის გაზრდა ბევრად უფრო რთულია, ვიდრე მცირე ომებით დიდების მოხვეჭა, პუტინის საგარო პოლიტიკა გეგმაზომიერად არის აგრესიული და ექსპანსიონისტური.

* * *

არსებობს ერთი, სავარაუდოდ, ცივი ომის დროინდელი ანდაზა – „რასაც რუსი არ უნდა აკეთებდეს, ბოლოს „კალაშნიკოვი“ გამოსდის“. ეს გამოთქმა არა მხოლოდ არაპოლიტიკორექტურად ჟღერს, არამედ უამრავი თვალსაზრისით არის მცდარი – რუსმა ხალხმა უამრავი ფასეული რამ შექმნა და დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურასა და მეცნიერებაში, ხოლო რაც შეეხება თავად „კალაშნიკოვს“, ლეგენდარული ავტომატის შექმნაში მიხეილ კალაშნიკოვის ღვაწლი არცთუ უეჭველია.¹⁴

და მაინც, ამ ანდაზას აქვს არსებობის უფლება, განსაკუთრებით, როცა საქმე რუსულ იდეოლოგიებს და მათზე დაფუძნებულ პოლიტიკურ სისტემებს ეხება. მიუხედავად ეპოქების და პოლიტიკური წყობის ცვლილებებისა, იმპერიულ, საბჭოთა თუ დღევანდელ რუსეთს რამდენიმე საერთო მახასიათებელი აქვს – რუსული სახელმწიფო გამორიცხავს ადამიანის თავისუფლებას და კანონის უზენაესობას, ის ღრმად კორუმპირებულია, მისი მმართველობა ყველა ფორმაციაში ტოტალიტარიზმისკენ მიდრეკილი ავტორიტარიზმით ხასიათდება, ხოლო საგარეო პოლიტიკა – აგრესიით და ექსპანსიონიზმით.

შენიშვნები

1. Gray, Clive, *Politics and Culture: Reformulating the Problem*, De Monfort University, Leicester, 2002
2. პოლიტიკური იდეოლოგიის ცნების განსაზღვრებისთვის იხ.: Freeden, Michael, *Ideology and Political Theory*, *Journal of Political Ideologies*, Volume 11, 2006 – Issue 1
3. Winkler, Jürgen R., *Political culture*, *Encyclopedia Britannica*
4. ბიზანტიის მემკვიდრეობის იდეის ერთ-ერთი საბაზისი ფაქტი იყო, რომ მე-15 საუკუნეში ერთ-ერთი ბოლო იმპერატორის ძმისშვილი სოფია პალეოლოგი მოსკოვის მთავარ ივანეს მიათხოვეს. თუმცა კონსტანტინოპოლის მემკვიდრედ თავს არაერთი სხვა სლავი მმართველიც მიიჩნევდა, რომლებსაც ბიზანტიის იმპერატორებთან დინასტიური კავშირი ჰქონდათ.
5. სერგეი უვაროვი ამ დროს განათლების მინისტრის მოადგილე იყო, მაღე მინისტრად დაინიშნა და შემდეგ გრაფის ტიტულიც მიიღო.
6. Mamaev, Georgy, *How have Russian ideological values changes through the centuries?*, *Russia Beyond*, Oct. 26, 2018
7. „На смерть Луккула“ – პუშკინის ლექსი, სადაც მინიშნებაა, რომ უვაროვი სახელმწიფო შემას იპარავს და თავის ნათესავ დ. შერემეტიევს უღირსად ექცევა.
8. De Waal, Thomas, *How Gogol Explains the Post-Soviet World*, *Foreign Policy*, Feb 27, 2012
9. Badridze, Giorgi, *Georgia on My Mind: Georgian Ambassador Pushes Back against Thomas De Waal's Portrayal of His Country*, *Foreign Policy*, 12 April, 2012
10. ბორის ელცინის ვიდეომიმართვა, რომელშიც თავის მემკვიდრედ ვლადიმირ პუტინს ასახელებს: www.youtube.com/watch?v=JZ-a-AcU9yw&fbclid=IwAR0tMAFOeESKsimjVaiBkGksr_dQ7yedXBOwTX313Y3w3Bvl493ZFoX2BQ4
11. Kolesnikov, Andrei, *Russian Ideology After Crimea*, *Carnegie Moscow Center*, September 2015
12. Николай Трубецкой, *О Народах Кавказа*, 1925
13. Snyder, Timothy, *Ivan Ilyin, Putin's Philosopher of Russian Fascism*, *The New York Review of Books* www.nybooks.com/daily/2018/03/16/ivan-ilyin-putins-philosopher-of-russian-fascism/
14. АК-47-ის შექმნაზე იყუევსკის იარაღის ქარხნებში 340 ინტერნირებული გერმანელი ინჟინერი მუშაობდა, მსოფლიოში ცნობილი კონსტრუქტორის, ჰუგო შმაისერის ხელმძღვანელობით და შესაძლოა, ამ იარაღის შექმნაში ახალგაზრდა ტანკისტ მიხეილ კალაშნიკოვის როლი საკმაოდ მცირე ყოფილიყო.